საქართველო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 90
30/03/2020

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე.

მიმდინარე წლის 30 მარტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მერიის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიში, კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გადაწყვიტა:

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის გ.ვ) ქვეპუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესახებ ანგარიშს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ, 2019 წლის განმავლობაში, 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, გაფორმდა 662 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება და მასთან გათანაბრებული, ჯამურად, 27 170 450,17 ლარზე. მათ შორის: 452 ხელშეკრულება - გამარტივებული შესყიდვის წესით, ჯამური ღირებულებით 4 440 832,58 ლარზე, რაც შესყიდვების სრული მოცულობის 16,34%-ს შეადგენს; 187 ხელშეკრულება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად, ჯამურად 21 847 597,13 ლარზე, რაც განხორციელებული შესყიდვების 80,41%-ია და 23 ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით, ჯამურად 882

020,46 ლარზე, რაც სულ გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამური ღირებულების 3,25%-ია.

აღნიშნულ პერიოდში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული იქნა 212 ელექტრონული ტენდერი, მათგან 17 ტენდერი არ შედგა, რადგან ტენდერში არც ერთმა პრეტენდეტმა არ მიიღო მონაწილეობა, 5 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, რადგან ტენდერში მონაწილე ვერცერთმა პრეტენდეტმა ვერ დააკმაყოფილა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობები, 7 ტენდერი გამოცხადდა შეწყვეტილად. შემდგარი 183 ელექტრონული ტენდერი გამოცხადებული იყო ჯამურად 24 022 610,82 ლარზე, ხოლო გაფორმებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 21 488 499,22 ლარი. შესაბამისად მიღებულმა ეკონომიამ შეადგინა 2 534 111,60 ლარი (10,55 %).

კომისიის მიერ მიღებული დასკვნა წარედგინოს ბიუროს და საკრებულოს მორიგ სხდომებზე განსახილველად.

გიორგი ჩაგანავა

კომისიის თავმჯდომარე
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია